ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-312306814**
თარიღი: **09/03/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

მოგახსენებთ, რომ ამ დღეებში ჩატარდა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომა.

კომისიამ იმსჯელა და გასცა თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულო ერთეულის - სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

შესაბამისად საკრებულოს იურიდიულ საკითხი და ეთიკის კომისიის მიერ მომზადებულია შესაბამისი განკარგულების პროექტი ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

დანართი - 1(ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2023 წლის მარტი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებულ ქუჩას ეწოდოს თამაზ გოგიჩაიშვილის სახელი.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ორი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**